

ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N6 ბინაზე, მოქალაქე ნუნუ კვერცხაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ნუნუ კვერცხაძის წარმომადგენლის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი **N131136007**) მოქ. ნანა ნიკოლეიშვილის (პ/ნ N60001026059) განცხადებების (20.08.2014წ.N6-6520, 10.09.N6-7185, 18.09.N6-7397) თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N6 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნუნუ კვერცხაძეს (პ/ნ 60003002384).
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /მ. ჭრელაშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N6 ბინაზე, საერთო ფართობი 35,34 კვ.მ. მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 17,00 კვ.მ. დამხმარე ფართობი 18,34 კვ.მ. მოქალაქე ნუნუ კვერცხაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია